საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/160 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ბებიაშვილის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, მიხეილ ბებიაშვილი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
მიხეილ ბებიაშვილის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 16 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის მიხეილ ბებიაშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

მიხეილ ბებიაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 29-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. იგი 2003-2019 წლებში იყო საერთო სასამართლოების მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ მიხეილ ბებიაშვილს გაესაუბრნენ 15 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა შეაფასა კანდიდატი მიხეილ ბებიაშვილი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

მიხეილ ბებიაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ მიხეილ ბებიაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1295 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 86.33%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, მიხეილ ბებიაშვილმა მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 5 კანდიდატი, მათგან 2 ყოფილი მოსამართლე და 3 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებიაშვილი მიხეილ - 12 ხმა
2. ვარდანიძე გვანცა - 0 ხმა
3. ვატიტაძე გრიგოლ - 1 ხმა
4. ცეცხლაძე ნარგიზ - 0 ხმა
5. ჯავახიშვილი მაია - 0 ხმა.

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - მიხეილ ბებიაშვილის კეთილსინდისიერების (საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლის ნორმების ცოდნის, წერის უნარის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 4 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა მიხეილ ბებიაშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი